ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუაშ




# ნიანგი

ოქტომბრელები

20

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1558). ოქტომბერი, 1979, ფასი 20 კაპ.



# საქართველოს კომკავშირს

მკერდზე იბნევ დიდებით დღეს ლენინის ორდენს!
დაე, ბევრი ჯილდო და გამარჯვება გქონდეს!
ძნელი გზა გაქვს გავლილი ბრძოლისა და შრომის!
ჰგავხარ, — მტკიცეს რვალივით, — შენს ძნელაძე ბორისს!
მეცხრე ცაში დაფრინავ დღისითა და ღამით!
გაქვს გმირობის ტრამპლინად: ენგურჰესი! ბამი!
ჩაი! ვაზი! მინდორი! დაზგა! ჩარხი! დგანი!
მერხი! ფუნჯი! კალამი! ბურთი! პოედანი!
გაქვს მამულით გამთბარი: სისხლი! ხორცი! ძვალი!..
ხარ ყელამდე პართალი! — ამირანის ძალის!
გიჭრის ავთანდილივით გონება და თვალი!
სულითაც და გულითაც გოლიათად გცანი!
შრომის ცეცხლით ინთები, იმეორებ, თითქოს
წინაპართა დიდებას — ასპინძას და დიდგორს!..
ახლა, როგორც არასდროს, შენ სჭირდები მამულს! —
მის ოლიმპს და მარათონს! მის სინდისს და ნამუსს!
შენ — მამულის სინედლევ, ყლორტო ყოვლისშემძლევ —
ერი თავის იმედებს დღეს ამყარებს შენზე! —
საქართველოს, თუ გინდა, საქართველო ერქვას, —
წინ იარე ქუხილთან და ელვასთან ერთად!
აღმოჩენით დამუხტე სიჭაბუკის ჟამი!
დაბრკოლებებს ჩაუხტი, თავს დაამხვე ბანი!
სიახლეებს თამამად გაუხსენი გზანი!..
და წინსვლისთვის მოჰფინე გზანი იგი მწვანით!
ბოროტება ამხილე და მოუღე ბოლო!..
და დამოკლეს მახვილი აღუმართე ბოროტს!
გმირობასთან გარითმე ეგ მარჯვენა გამრჯე!
საქართველოს ხვალინდელს წარუმართე საჭე!
უფრო მძლავრად ბრწყინავდეს შენი ნათლის სვეტი!
მეტი, მეტი სინათლე და მიღწევა მეტი!
იყოს მარად მზეგრძელი შენი დროშის გაშლა!
ვაშა ნათელ შენს მერმისს და შენს ზეიმს ვაშა!





**ჩამოირთველო**, ჩამაჭრიანდი, ჩვენო საქართველოვ!

საშვიდნოემბრო აკიდოს მარტო ყურძნის მტევნებს როდი ვუთვლით. ყველაზე თვალშისაცემი, ყველაზე მოწეული „ხილი“ შენი გულქართლი ხალხის ალალი, ბედნიერი ღიმილია.

მაინც რა შესძლებია მუშაკაცის მარჯვენის მარჯვედ მოქნევას: ინდუსტრიის რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი ზრდის ტემპი დღეს არც შენი ავტომობილის სისწრაფეს ჩამორჩება და არც შენი ელმავლისას!

მინას მიწის შვილები გიმშვენებენ! ამ სამშვენისიდან, უპირველესად, შენი მეჩაიეების სწორუპოვარ გამარჯვებას ვადღეგრძელებ!

ვაზის მადლი, ვაზის ბადაგი და ბარაქა ნუმც მოეშალოთ სახელოვან მევენახეებს!

მივულოცავთ შენს ახალ სოციალისტურ შრომის გმირებს — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, უკვდავებასთან წილნაყარ ვერიკო ანჯაფარიძეს, ელვის კვესის — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსს — მიხეილ ცისკარიშვილს და მამაც მშენებელს — ალექსანდრე ოლეინიკოვს!

შენი გასხივოსნებული შუბლის მეცნიერებათა აკადემიის ახალ შევსებას შევციცინებთ!

ამ საშვიდნოემბროდ ქალთა საჭადრაკო-სადედოფლოს — სანავარდოს დაგილოცავ!

ლელობურთიდან — ფეხ(ბროლ) ბურთამდე! ასეთ ნახტომს ვინ არ ინატრებდა: შენმა შვილებმა ინგლისს მარტო ბურთით კი არა, „კავკასიური ცარცის წრითაც“ „მოუხაზეს“!..

აკიდოს ყველაზე ლამაზი მტევანი, ვგონებ, ირინე გაბაშვილია, ყველაზე მკვრივი — ლექსო თორაძე!..

მოკავშირე რესპუბლიკების თანავარსკვლავედში ექვსგზის ზედიზედ გამარჯვება-გამონათებით შენ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იმ ციცინათელად იქეცი, რომელიც განა მარტო ღამე, დღედაღამ, დღენიადაგ ანათებს!

მეშვიდეთაც, ჩვენო რესპუბლიკავ!

ქართველ კაცს ნატვრის ხე სად არ დაურგავს, სად აღარ უხარებია!

მეშვიდე გამარჯვებას სიმღერაც შვიდხმიანი დამშვენდება! ხმების საძებნელადაც არ წავალთ შორს — „შვიდკაცები“ ბევრი გვყავს!

თვალს კი არ ვხუჭავ, თავს კი არ ვისულელებ: შემჭკნარ, ამოკენკილ, შელპობილ, უხეირო თუ უდღეურ მარცვლებს აკიდო, ალბათ, თავად ჩამოიბერტყავს, გზადაგზა ჩამოიცილებს! არ ჩამოიცილებს და... ჩამოვაცილებთ — ნიანგს კბილები გაუბასრდა, კი არ მოჰკვეთია!..

**ზაზა კაციაშვილი**







კონსტიტუციას დიდება ახალს —
საბჭოთა ქვეყნის ძირითად კანონს!
მისით ავდივართ მაღლა და მაღლა,
მისით ვიმარჯვებთ და მისით ვხარობთ!

მისით შევუტევთ მედგრად, სასტიკად,
დაუზოგავად და დაუღლელად
ჩვენი ცხოვრების ყველა ანტიპოდს
და ნეგატიურ მოვლენას ყველას!

**რევაზ ინანიშვილი**

# ვანო



**საბავშვო** ბ ა ღ ი ს ვესტიბიულში გრძელ სკამზე იჯდა და თავის ბიჭუნას ელოდა. ხელები საწვიმრის ჯიბეებში ჩაეწყო, სკამის საზურგულს მისწოლოდა და გაპრიალებულ მუხის პარკეტს ჩასჩერებოდა. პარკეტის ერთ ფილას ორი ნუჟრი ჰქონდა. ეს ნუჟრები სათვალეს ჰგავდა, შუაში ბოლომოკაუჭებული ხაზი ჩამოუდიოდა და ის ხაზიც პატარა ნუჟრით თავდებოდა. ეს ქვედა ნუჟრი ზედგამოჭრილი ულვაშები იყო, თანაც მისი მეზობლის ულვაშები; ერთხელ ამ მეზობელმა ასე უთხრა: შენ, ჩემო ვანო, პატიოსანი კი არა, მშიშარა ხარ და იმიტომ ვერ შოულობ ბევრ ფულსო. მაშინ ვანომ იმის საბუთად, რომ მშიშარა არ იყო, სასაცილო რამ თქვა: მე შემიძლია, შიშველი ხელით გველი დავიჭირო, მე შემიძლია, რაც არ უნდა ავი ძაღლი იყოს, ხელში ავიყვანო. ამაზე მეზობელმა, გზააბნეულ ბავშვს რომ დაუყვავებენ, თითქმის ისე დაუყვავა: ეგეთი სიმამაცე, ჩემო ვანო, დღეს საკმარისი აღარ არის, ახლა ადამიანის არ უნდა გეშინოდეს, თორემ გველი და ძაღლი... გველი და ძაღლი რა სახსენებელია ადამიანთანო. მეზობელი უხეიროდ აკოკოლებული კაცი იყო, ვანოს რომ დაეკრა, ხუხულასავით დაშლიდა. ერთი სული ჰქონდა, მიეფურთხებინა მაინც, ამ პარკეტზე გამოხატულ ულვაშებზე; მაგრამ ესეც არ შეიძლებოდა და ნერვიულად ატოკებდა თითებს.

უცებ მეორე სართულიდან სკუპსკუპით ჩამოვიდა მსუქანი, პეპელასავით მორთული და მხრებშეზიდული პატარა გოგონა, ჯერ შორიდან უყურებდა ვანოს, მერე ბალერინას პატარა ნაბიჯებით მოირბინა, წინ გაუჩერდა და კეკლუცად ჰკითხა:

— ვინ გნებავთ?

— მიხო, — მიუგო ვანომ.

— ვინ მიხო?!

— ჩემი ბიჭი.

— რა გვარია?

— ბუჭყიაშვილი.

— ბუჭყიაშვილი? — გაეცინა გოგონას. — ეგ როგორი გვარია?

— არ მოგწონს?

— არა.

— თვითონ რა გვარი ხარ?

— გა-გუ-ა.

— გაგუა სჯობია ბუჭყიაშვილს?

— კი. მსახიობი გაგუა ჩემი ბიძაა. ელენე გაგუა ჩემი მამიდაა, აბესალომ გაგუაც ჩემი ბიძაა. ჩემი დედიკო მუსიკის მასწავლებელია, ჩემი ბებია — ცირკის უფროსი, ჩემი მამიდა — ტელევიზორების უფროსი, აბესალომ გაგუა — უნივერმაღის უფროსი. ჩვენ სულ უფროსი ნათესავები გვყავს. ჩვენ ყველაფერი ბევრი გვაქვს.

— რა ყველაფერი გაქვთ ბევრი?

— ავეჯი, ტანსაცმელი, ჭურჭელი...

— რად გინდათ ბევრი ავეჯი და ბევრი ჭურჭელი?

— ი! აბა, სტუმარი რომ მოგვივა?

— მერე რა, მოვიდეს რა!

— აბა, თქვენ როგორ ცხოვრობთ?

— ისე, უბრალოდ, ერთი დიდი ფარდაგი გვაქვს, გავშლით ძირს და ვკოტრიალობთ ყველანი — მეც, მიხოც, მამუკაც, ჩვენი დედიკოც და, თუ სტუმარი მოგვივა, ისიც. ჩვენ ხის ჯამები გვაქვს, ხის კოვზები — კაკ-კუკ! კაკ-კუკ!

— ავეჯი სულ არა გაქვთ?

— ნწ, სულ არა გვაქვს. ავეჯი რომ გვქონდეს, როგორღა ვითამაშებდით?!

— რას ვეღარ ითამაშებდით?

— ფრენბურთს, ოთურმას, დაჭერობანას.

გოგონამ ფუნჩულა ხელით ქვედა ტუჩის სრესა დაიწყო, ვანო კი განაგრძობდა:

— ჩვენ ტანსაცმელიც ისეთი გვაქვს, სადაც გინდა, ჩაჯექი. აი, ნახე!

ვანო იატაკზე ჩაჯდა, გოგონას გაუცინა და ისევ სკამს დაუბრუნდა.

— ხომ კარგია?

— დიახ, — დაუქნია გოგონამ თავი და ოდნავი შეყოვნების შემდეგ მორიდებით იკითხა:

— არც მანქანა გყავთ?

— მანქანა რად გვინდა, ჩვენ სულ ფეხით დავდივართ. დავმწკრივდებით და მივდივართ მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე, მთა-მთა, მანქანაში რომ ზიხარ, რა უნდა დაინახო? ვარდისფერცხვირიანი პატარა თაგუნების ჭიდაობას დაინახავ? პირდაღებულ, კისერგაღანღალებულ მწყრის ბარტყებს დაინახავ? ბალახის ყურში ჩაძინებულ წვიმის წვეთს დაინახავ?

— ჩქარა რომ მიდიხარ?

— ჩვენ არსად არ გვეჩქარება, ჩვენ ასეთი ხალხი ვართ, არსად არ გვეჩქარება.

გოგონა მთლად გაშტერდა, ცოტაც და მოიგლეჯდა ქვედა ტუჩს. ვანომ პაწია ხელში ხელი მოჰკიდა და ჩამოალებინა:

— რა გინდა, რატომ აწვალებ მაგ ტუჩს? რამე დაგიშავა?

ამ დროს მიხო გამოვარდა და შორიდანვე დაიძახა:

— წავიდეთ, მამაჩემო?

— წავიდეთ.

ვანო წამოდგა. გოგონა ახლა უკვე ქვემოდან შესცქეროდა, თვალები სევდით ჰქონდა სავსე.

— წამიყვანთ თქვენთან?

— კი, როგორ არ წაგიყვანთ, — მიუგო ვანომ, — ახლა მაღლა ადი, ხვალ კი უსათუოდ წაგიყვანთ!..

## კისერი არ მიყვარს!..

**სადილზე** დ ე დ ა მ ვაჟიშვილს ინდაურის საცივი მიართვა.

— ეს რა არის?! მაინცდამაინც კისერი უნდა შემხვდეს?!

— მკერდი და ბარკალი გუშინ შეჭამე, შვილო!

ტელევიზორთან მჯდარმა მამამ კისერი მოაბრუნა და შვილს ჰკითხა:

— მაშ, ინდაურის კისერი არ გიყვარს?!

— ჰო, არ მიყვარს!

— არც ქათმის კისერი გიყვარს?!

— არც ქათმის!

— საერთოდ არ გიყვარს კისერი?!

— დიახ, საერთოდ არ მიყვარს!

— კი მაგრამ, მაშინ რაღა ჩემი კისერი შეგიყვარდა?! შენი სკოლის დამთავრება ჩემს კისერზე გადავიდა! მესამე წელია, უმაღლესში აბარებ და ისევ კისერზე მაზიხარ! თუ საერთოდ გძულს კისერი, გადმოდი მაშინ ჩემი კისრიდან, დაიწყე სადმე მუშაობა და მადლიერი ვიქნები!

ბიჭი გაბრაზდა და კისრისტეხით გავარდა ქუჩაში.

**დოროთე ხინთიბიძე**

## ოთარ მამფორია

# ძია შოთის მონოლოგი





ნახ. დ. ერისთავისა.



ღმერთმა მოგცეთ, ჭეელებო,
მხნეობა და დიდი ძალა!
ეგ მარჯვენა დაგელოცოთ,
რომ აშენებთ წმინდა ალაგს —
ხალხთა ძმობის ბურჯს და კერას —
გორგასალის თბილის-ქალაქს!

ეგ გულუხვი მასპინძელი
სიყვარულში პირველია!
მიწის გულში ბრწყინავს მეტრო,
ცაში დაფრენს „ივერია;"
და ეგ ნორჩი ბაღ-პარკები
ახლა მოხუცს მიმელიან!

ყოველ დილით, ვით მებაღე,
მეც ამ ქუჩებს ჩამოვივლი,
ხეს ვკოცნი და ქვებს ვემთხვევი, —
ამ შენებით კმაყოფილი, —
მაგრამ ისიც უნდა გითხრათ,
გული რად მაქვს გაყოფილი:

ხელოსანი კაცი ვარ და
ჭიპმოჭრილი თბილისელი!
ხელობაში ვერვინ მჯობდა,
ვერც ქორწილში — ღვინის მსმელი,
პენსიაზე რომ გავედი,
მაშინ გავხდი ლილისფერი.

მარჯვენს როგორ შავირცხვენდი,
მე მეწალე ნალდი ვიყავ!
მზა მასალად გული მქონდა,
ნამუსი კი — იარლიყად.
დღეს „ისანის" ფეხსაცმელი
კი გაგიძლებს, თუ არ იხმარ!

ჭეელობა გამიფრინდა,
ჟამის ქარმა დამიბერა.
ამა სოფლის სიავკარგის
ვერაფერი გავიგე რა —
გაკვეთილებს ვიზეპირებ,
შვილიშვილის მაგიერად.

მშობელთ კრებას მე ვესწრები,
ხშირად მიწევს გაწითლება.
შვილიშვილი მანუგეშებს:
„ეგ კი არა, კაციც კვდება!"



ჩემს რძალს შარვალი აცვია,
თითები აქვს გალაქული,
ჩალურჯებულ თვალებს ნაბავს,
გეგონება გალახული.

დღე და ღამე სარკესთან დგას,
მოსწონს თვისი თავ-კიხერი,
პირზე ერბოს რომ წაისვამს,
ხელებს იბანს მარწყვის წვენით.

ჩემს შვილს მუდამ არ სცალია,
ხან კრება აქვს, ხან — თათბირი,
მე შვილიშვილს ისე დავსდევ,
ვით ტარიელს — ავთანდილი.

მშობლებმა კი არც იციან,
კლასში როგორ გადავიდა!
ჯერ პატარა ჩოჩორია,
თუკი მალე არ გავირდა!..

წუხელ ვნახე სიზმარშია,
ჩემმა მზემა, სახტად დავრჩი:
აფთიაქში ჰქონდათ ბამბა,
სახაშეში იყო ხაში!.

გამელვიძა, შევამჩნიე
მოვლენები ინფაქტური.
ამ ფაქტურით დავრჩი ცხადში,
წამოსული იმ ფაქტურით.

ვით რიყეზე ორაგული,
უწყლოდ ისე დამამწყვდევს
და, წყლის ნაცვლად, ჩაიხათვის
„ნაბელლავი" ავადულე.

ახალ გაზეთს ისე ველი, —
ფოსტის ყუთთან ვგავარ მწევარს,
გაზეთი კი ვახშმად მოდის,
წასულ დღეს რა დაეწევა?!

მეეზოვე ქუჩას გვის და
მტვერში მზესაც ვერ გახედავ,
რომ ვუთხარი, ეწყინა და
ნაგავი ზედ მომახვეტა.

როგორც მოხუც პენსიონერს,
მაქვს საგზური ავტობუსის,
ტრანსპორტს ისე ველოდები,
ვით ჭეელი სატრფოს უცდის.



სხვა მხარისკენ გამიტაცა,
მიმაყენა ტაქსმა ბაზარს,
და გავგიჟდი: ერთი ვარდი
სამი ლიტრი ღვინის ფასად?!

თუმნად წიწილას ყიდიან,
ოც მანეთად — ოი, ნიგოზს!
ეს რომ ვნახე, დავემსგავსე
თვალებდათხრილ ოიდიპოსს!..

სიგარეტმა დამამშვიდა
(ამიტომ ვერ გადავაგდე!)
„კოლხეთი" არ იშოვება,
ჩამოვეშვი „არაგვამდე".

ეჰ, თბილისო, შენს ქუჩებში
შემხვედრია ხულიგანი —
არც მოხუცი ენაღვლება,
არც თავისი უბნის ქალი!

მიწისქვეშა გადასასვლელს
გადურბინა, გზა გადმოსჭრა,
გვირაბიდან ამოსვლა კი
მიაჩნია „ქვეშ გამოსვლად".

აქ ხატავდა ფიროსმანი
დედაქალაქს სიამაყით,
აქ მღეროდა ეთიმ გურჯი
სიყვარულის ცვრიან დარდით.

მე კი ვიცი: პირნათელი
იმა ქვეყნად ციმციმ წავალ.
შვილები არ დამაკლებენ
ჩემს ქელეხში ხიზილალას,

მაგრამ მაშინ ხრამის „ცოცხალს"
დღეს ტარანა მირჩევნია,
მიქელ-გაბრიელის მოსვლას —
ინსპექტორის „ლიშენია".

დედათბილისს ვადღეგრძელებ,
მსურს სიცოცხლის ალავერდი!
იმა ქვეყნად წასულ მეფეს
ვაზირი სჯობს ამა ქვეყნის!



## ლექსიკონი

**მარცხენა საქონელი** — მარცხიანი საქონელი.
**ავტომანქანა** — ზოგი ახალგაზრდის [illegible] წაგანი.
**თვითკრიტიკა** — საკუთარ თავზე [illegible] მიზნით.
**[illegible]** — ვისაც სამშობლო მაშინ უყვარს, როცა კმაყოფილია.

ალმანზორ თავაძე

**„ჟიგული"** — თავისივე სათადარიგო ნაწილების საძებნი მექანიზებული საშუალება.
**რესტორანი** — სასადილო, სადაც ანგარიშში მოტყუება წარმოებს მუსიკალურ ფონზე.
**შამფური** — მწვადის თანაავტორი.

ავთანდილ ქიმერიძე

**ოფიციანტი** — ადამიანი, რომელსაც შეუძლია ჭამის შემდეგაც გაჭამოს.
**ალერგია** — დაავადება, რომელსაც ზოგჯერ წამალი აჩენს და ზოგჯერ წამალი არჩენს.
**11 მეტრი** — ფეხბურთის მსაჯის სიმკაცრის საზომი ერთეული.
**წრე** — საზღვარი წრეგადასულობის დასადგენად.

გიგლა ბახტაძე

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— გულადები ხართ თქვენ, ახალგაზრდები! მე მასეთ სიმაღლეზე ვერ ამოვალ!
— როგორც ვხედავ, ესეც მაღალი ადგილია თქვენთვის!

# ორი შეგონება სიყვარულზე

I

**ერთ** კერძომესაკუთრეს ერთი ახალგაზრდა, კეკლუცი და ალერსიანი ქალი შეუყვარდა. შეუყვარდა და ხელი სთხოვა. ქალმა იმხელა სიყვარული დაინახა კერძომესაკუთრის თვალებში, რომ უყოყმანოდ გაჰყვა ცოლად. არც უნანია. შეყვარებული კერძომესაკუთრე ცოლს უსაზღვროდ ანებივრებდა „წვრილწვრილი" საჩუქრებით: ხან ოქროს საყურე მოჰქონდა, ხან — სიასამურის ბეწვი, ხან — ავტომანქანა, ხან — უცხოეთის საგზური, ხან ახალ აგარკს უშენებდა და საგანგებოდ მიჰყავდა საჩვენებლად. ერთი სიტყვით, ორთავენი ბედნიერები და კმაყოფილები იყვნენ, განსაკუთრებით — კი ცოლი.

ერთ მშვენიერ დღეს კერძომესაკუთრე სახლში აღარ დაბრუნებულა. მოვიდნენ ვილაც-ვილაცები და სულ სათითაოდ აღრიცხეს ცოლისადმი მიძღვნილი „წვრილმანები", აგარაკსაც ლუქი დაადეს. ერთმა მათგანმა ცოლს ჰკითხა: იმ შენს საყვარელ ქმარს ამდენი და ამდენი რომ მოჰქონდა, ხელფასით რომ ვერ მოიტანდა, ვერ ხედავდიო?

— ვერ ვხედავდიო! — გული ამოუჯდა მოსიყვარულე ცოლს.

**შეგონება პირველი: სიყვარული ბრმაა!**

II

**დაახლოებით** ასევე ჰყავდა განებივრებული ცოლი ერთ ასევე მოსიყვარულე საქმოსან ქმარს. ერთ მშვენიერ დღეს ქმარი სამსახურში აღარ წასულა — იგი მოხსნეს. აქედან დაიწყო მისი ტანჯვა. ქმარი იტანჯებოდა, როცა შეჰყურებდა ცოლს, რომელიც შარშანდელი ქურქით დადიოდა, შარშანდელი ჩექმები ეცვა, ძველი მარკის „ჟიგული" დაჰყავდა. განსაკუთრებით ის განიცადა ქმარმა, როცა იძულებული გახდნენ, ცოლის ერთ-ერთი სამაჯური გაეყიდათ. სამაჯურს საყურე მიჰყვა, საყურეს — მანქანა, მანქანას — ქურქი. ერთი სიტყვით, განცდა განცდას მისდევდა. ცოლიც ქვისა როდი იყო, ქმარი უყვარდა და მის ტანჯვას არანაკლებ განიცდიდა. ერთ მშვენიერ დღეს მან ველარ გაუძლო ქმრის ტანჯვა-წვალებას, დათმო სიყვარული და.. სხვასთან წავიდა.

**შეგონება მეორე: სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს!**

ლერი ჩანტლაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



უსიტყვოდ

ნახ. ა. ერაძისა



უსიტყვოდ

# თავბერიძის თავსატეხი

**თავბერიძეს** ორას ორმოცი მანეთი ჰქონდა ხელფასი.
გახტაძეს — ოთხმოცი.
თავბერიძეს ოთხი შვილი ჰყავდა.
გახტაძეს — არც ერთი.
თავბერიძის ცოლიც მუშაობდა.
გახტაძისა — არა.
თავბერიძეს და გახტაძეს ერთადერთი რამ ჰქონდათ ერთნაირი — ხელფასის საშუალო შემოსავალი ოჯახის თითოეულ წევრზე.
სხვა ყველაფერი — განსხვავებული.
გახტაძე ექვსოთახიანი საკუთარი ბინის პატრონი იყო.
თავბერიძე — ოროთახიანი „უაკტის" ბინის დამქირავებელი.
გახტაძეს მეცხრამეტე „ვოლგა" ჰყავდა.
თავბერიძეს — არც პირველი მოტოროლერი.
გახტაძეს ორი აგარაკი ჰქონდა: ერთი — ზღვაზე, მეორე — მთაში.
თავბერიძეს — ზღვასა და მთას შუა — არც ერთი.
გახტაძის სახლი ოქრო-ვერცხლით იყო გამოჭედილი.
თავბერიძისა — წიგნებით.
გახტაძეს უზომო ფული ჰქონდა გადამალული სახლში, კარში, სხვენში, მიწაში!..
თავბერიძეს — შინაურისა და გარეულის ზომიერი, დაუფარავი ვალი.
გახტაძეს ნამუსი არ გააჩნდა.
თავბერიძეს სინდისიც გააჩნდა, ნამუსიც. მაგრამ ვერაფრით მიმხვდარიყო, საიდან ჰქონდა ამდენი სიმდიდრე გახტაძეს!
ადგა და ჰკითხა.
გახტაძემ უპასუხა, ყველაფერს შნო უნდაო.
თავბერიძე უფრო გაბრაზდა: მე თუ უშნო ვარ, ოთხი შვილი საიდან შემეძინა, თანაც ორი ბიჭიო?!
შვილს საქონელიც კი აჩენსო! — ყოვლად უტიფრად უთხრა გახტაძემ.
თავბერიძემ სულ ცახცახი დაიწყო, მაგრამ მაინც ჰკითხა: აბა, შენ რომ სულ უშვილო ხარ, ეგ არის ადამიანობაო?!
გახტაძემ კიდევ უფრო უტიფრად უპასუხა: დიახაც, ეს არის ადამიანობაო.
თავბერიძე მთლად გაცოფდა. მაგრამ მაინც შეეკითხა: კარგი, ბატონო, შნოც შენ გქონია, ვაჟკაციც შენ ყოფილხარ, მაგრამ ეს მაინც მითხარი, რად გინდა ეს ამდენი ავლა-დიდებაო?!
გახტაძემ ურცხვად შეიცხადა: როგორ თუ რად მინდა?! უნდა შევჭამოო!
თავბერიძემ ძლივს, მაგრამ კიდევ მოითმინა და უთხრა: რაც შენ ქონება გაქვს, შენისთანა ღორების მთელი ფერმა რომ მიუშვა და მთელი სიცოცხლე აჭამო, მაინც ვერ შეჭამს და შენ როგორღა აპირებ შეჭმასო?!
გახტაძემ იწყინა: შეურაცხყოფას ნუ მაყენებ, ისე მელაპარაკეო! სანამ ჩემს ქონებას არ შევჭამ, საიქიოდან ფეხს არ მოვიცვლიო!
თავბერიძემ სულ კბილების ღრჭიალით უთხრა: მეტი რომ აღარ შეიძლება, ისე გაბრაზებული რომ არ ვიყო, გამეცინებოდა, არა, მაინც როგორ აპირებ ამ ზღვა ქონების შეჭმასო?!
გახტაძემ — შენ დარდი ნუ გაქვს, არხეინად იყავი, შევჭამო!
თავბერიძემ — რომ ვერ შეჭამოო?
გახტაძემ — შევჭამო!
თავბერიძემ — ვერ შეჭამო!
გახტაძემ — რას გადამეკიდე, რა შენი საქმეა. მინდა შევჭამ და მინდა სულ დავლეწავ, დავწვავ, წყალს გავატან ყველაფერს, ჩემია და შენ ვინ გეკითხებაო?!
თავბერიძემ — აბა, თუ არავინ მეკითხება, ახლა ნახეო! აიღო და ისეთი თხლიშა, რომ გახტაძემ საავადმყოფოში ამოყო თავი!..
თავბერიძე, რა თქმა უნდა, დააპირეს და სასამართლოს გადასცეს.
ზის ახლა თავბერიძე და გაუთავებლად ფიქრობს: ნეტავ, სასამართლო რა განაჩენს გამომიტანსო?
სასამართლოს, მოგეხსენებათ, არაფერი შეეშლება: პროკურორი და მოსამართლე თავიანთ საქმეებს მიხედავენ, მაგრამ შენ რას იტყვი, მკითხველო, რისი ღირსია თავბერიძე?!

ზურაბ რატიანი

# კოსტა ხეთაგუროვი



ოსი ხალხის ეროვნულ გენიას, ოსური ლიტერატურის ფუძემდებელს და რევოლუციონერ-დემოკრატს — კოსტა ხეთაგუროვს — წელს, ოქტომბრის თვეში, დაბადებიდან ას ოცი წლისთავი შეუსრულდა.

ოსი ხალხის ლეონარდო და ვინჩი უწოდა კოსტა ხეთაგუროვს დიდმა რუსმა მწერალმა ალექსანდრე ფადეევმა. პოეზია, პროზა, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, ეთნოგრაფია, ფერწერა, სატირა და იუმორი! — აი, კოსტასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ის „საუნჯე მიწა", სადაც გენიალური შემოქმედი ერის დიდ მოჯირნახულედ გვევლინება. სატირისა და იუმორის მახვილზე წამოაგო კოსტა ხეთაგუროვმა ძლიერნი ამა ქვეყნისანი. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ გასული საუკუნის დამლევს პეტერბურგის ერთ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალში გამოაქვეყნა კარიკატურა, სადაც გამოსახული იყო ძაუჯიკაუს მაღალი საზოგადოების ცნობილი ქალბატონი და მის წინ დაჩოქილი თაყვანისმცემელი. კარიკატურის წარწერაში თაყვანისმცემელი ეუბნება ქალბატონს: **«Полуби мена старого дурака, полуби мена старого ишака, и мы за тебя весь Кавказ переменем»**.

მამაკაცის პორტრეტული მსგავსება იმდენად ზუსტი იყო, რომ მასში თერგის ოლქის უფროსმა, გენერალმა ხორანოვმა, საკუთარი თავი შეიცნო და ბრძანება გასცა ჟურნალის ყველა ნომრის კონფისკაციის შესახებ, მაგრამ ეს ღონისძიება ნაგვიანევი გამოდგა: კარიკატურას უკვე მოესწრო ამ უღიმღამო დონ ჟუანის კომპრომეტაცია და ხორანოვიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა კავკასია!..

სატირა და იუმორი კოსტას ხელში იყო იარაღი, რომლითაც დაუნდობლად ებრძოდა უსამართლობას, ტირანიას, გაუტანლობას, თაღლითობას, პირფერობას, უსულგულობას, მაამებლობას!..

მიხეილ გულკათი

## მელია და მაჩვი

მიცუნცულებს
ტყიდან მელა, —
ჩუმად...
ჩუმად...
ნელა...
ნელა...

თვალს აცეცებს,
ცმუკავს, ღელავს,
არემარეს ფრთხილად
ზვერავს, —
თუ მსუქანი დედლის
არა, —
იხვის მაინც —
საშოვნელად!..
წინ შემოხვდა ერთი მაჩვი,
„ფუი ეშმაკს!" — ბრაზობს
მელა.
„გამარჯობა, მაჩვუნია!"—
მიესალმა კუდაგრძელა, —
„სად ყოფილხარ?
რა გინახავს?
ხომ არ გინდა რამე
შველა?!"
მაჩვმა უთხრა:
„რამე მქონდეს, —
გაგიყოფდი, ძმაო, შენაც!"
მერე მელა აწუწუნდა:
„ჩემო ძველო მეგობარო,
სმას ხომ თავი დავანებე,
მაგრამ მაინც მთვრალი
ვარო!..
ალდარაანთ სახლთან
მოვხვდი,
არაყს ხდიდნენ საარყეზე,
მყრალმა სუნმა გამაბრუა,
დავდივარ და წამალს
ვეძებ!..
ლამის არის, გასკდეს თავი,
შენც ხომ იცი
დანარჩენი?—
რამე თუ არ დავაყოლე,
ალბათ, ველარ
გადავრჩები!"
მაჩვი გვერდზე
გადაგორდა:
„ვაი მყრალი სუნი
მლავსო, —
მელავ, შენი ტყუილები
იმ არაყზე უფრო ყარსო!"

## ბოლოკი და თაფლი

თავის ქებით ბევრი ვინმე
ბევრჯერ გალანძღულა!
თავის ქება კიტრიაო, —
ძველებს უთქვამთ
ბრძნულად!

..ჰოდა, ერთხელ ოჯახი
მიირთმევდა სადილს,
მდიდრულ სუფრას არ
აკლდა
ხინკალი და მწვადი.

ვის არ უყვარს, მითხარი,
გემრიელი სადილი?!.
ჩუმად იყოს ბლომიყი
ხომისი და ზადინი! *)

უცებ... ურცხვმა ბოლოკმა
გააკეთა ყირა და —
ბოდიშების გარეშე
თაფლში გადაყირავდა.

თქვა: „შეურცხვეს ნამუსი,
ვინც ტყუილი ჩმახოსო,
თაფლთან ერთად ვინც
შემჭამს,
გემო იმან ნახოსო!"

ყველა გვერდზე
მიტრიალდა
და, თუ გინდა მართალი,
თავის ქება კიტრიაო, —
ამაზეა ნათქვამი!

---

* ბლომიყი, ხომისი, ზადინი — საჭმელებია.

თარგმნა გივი ძნელაძემ

## მარხვის შემნახველი

მხნელი რომ მინას გადახნავს,
მჭადითაც იკლავს შიმშილს,
ამ ჩვენს კატას კი კარგა ხანს
რძის ნატვრა უფრთხობს ტკბილ
ძილს.

აღარც თამაშობს!.. ეს უნდა, —
არა ყვებოდეს ზღაპრებს.
სიმღერა სულ მთლად
შესძულდა
და სევდას გულს ვერ ართმევს.

ცემით მოკალი, დათხარე
ორივე თვალი ამ წუწკს,
სიკვდილსაც ნუღარ აკმარებ,
ოღონდ გააძლე ამ წუთს!

მისი შიმშილის კი არის
ჭერში წამალი ერთი,
მაგრამ ვერ მიწვდა! — ტიალის
მისაბმელს გაწყვეტს ღმერთი!—

ხარის შაშხია, — ლასტივით
შეკრული ხუთი წნელით, —
ჩაყვითლებული ვაშლივით,
მთელ წელს ამყოფებს ლხენით!

მსუყეს დასკდომაც შეჰფერის,
სუნზე ხომ, აბა, რა თქვას?!
მოშივებული შესცქერის
თვალმოჭუტული კატა!..

ძაღლი იცინის, თანაც მტერს
წინ ეღობება ღრენით:
„გინდა, ამ ამბრის ამომგდებს,
გაძლომა მარტო ცქერით?!"

შეკითხვა როდი ესწორა
კატას! — ასწია თავი,
ძაღლს მკაცრი მზერა ესროლა
და სიტყვა უთხრა ავი:

ო, შე ჩერჩეტო, მე ამით
ცოდვებს ავუგე წესი
და, ქურდბაცაცავ, შენსავით
აღარ ვარ მარხვის მტეხი!

თარგმნა მიხეილ გულკათმა









## ბავშვობას მოკლებულნი

ორ ათეულ წელზე მეტია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო ბავშვის უფლებათა დეკლარაცია. მიიღო, მაგრამ... აბა, დახედეთ ამ სურათებს — ლონდონელ ბავშვებს სანაგვეზე მოუნახავთ სათამაშო ადგილი (მარცხნივ, ქვემოთ), ამ პატარა რომაელებს კი ბანქოს თამაში გაუჩაღებიათ ქუჩაში (მარცხნივ, ზემოთ). ვინაა გამკითხავი?

პაწია ამერიკელს ხელში პლაკატი უჭირავს: „ჩვენ საბავშვო ბაღები გვჭირდება!“ (მარცხნივ, შუაში). აშშ-ის ადმინისტრაციას კი იგი არაფრად სჭირდება — სამხედრო ბიუჯეტი უპირველეს ყოვლისა!

დეკლარაციაში ნათქვამია: ბავშვებს უნდა მივცეთ უფასოდ სწავლის საშუალება, თანაბარი შესაძლებლობანი ინდივიდუალურად განვითარებისათვის, ისინი უნდა დავიცვათ უსულგულობისა და ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმისაგან. კაპიტალის „სამოთხეში“ კი უფროსები დიდ ვალში არიან თავიანთი პაწია მოქალაქეების წინაშე.

НОВОЕ ВРЕМЯ
ПОЛИТИЧЕСКИЙ ЕЖЕНЕДЕЛЬНИК

№ 726
26.XI.79

## „გარიყულნი“, „ურჩნი“

„ზეაქტიურნი“, „ურჩნი“! — აი ეპითეტები, ინგლისში ბავშვების მისამართით რომ შემოიღეს. ბავშვთა დანაშაულობის ზრდა, ვანდალიზმი სკოლებსა და ქუჩებში, მშობლების ცდა — თავიანთი „ძნელადაღსაზრდელი“ შვილები სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებსა თუ პოლიციას გადააბარონ, მოზარდთა პრობლემის განხილვა პარლამენტში — ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ბავშვთა დანაშაულობა საერთოეროვნულ პრობლემად იქცა. იყო დრო, როცა ბავშვებს ამკობდნენ ასეთი ეპითეტებით: „სიცოცხლით სავსე“, „ცნობისმოყვარე“, ახლა კი კაპიტალისტურმა საზოგადოებამ აღარ იცის, რა უყოს „გარიყულებს“ და „ურჩებს“, მცირეწლოვან დამნაშავეებს, თვითონვე რომ შობს.

დახედეთ ამ სურათს. ეს ხდება დღისით, მზისით ლონდონის ცენტრში, მოქალაქეთა თვალწინ.



## ნაიტს უკვირს!..

**გახსოვთ** იაროსლავ ჰაშეკის მხიარული გმირები — მოხალისე მარეკი და ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი? ჰოდა, მაშინ ისიც გემახსოვრებათ, რა უამბო მარეკმა შვეიკს შესახებ იმისა, თუ როგორ რედაქტორობდა იგი ჟურნალ „ცხოველთა სამყაროს“, როცა ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა — თავისი გამოგონილი ცხოველებითა და ფაქტებით ავსებდა მას და შუბლზე ძარღვიც არ ასტოკებია.

სწორედ ასევე იქცევა ამერიკული ჟურნალის „ი. ს. ნიუ სენდ უორლდ რიპორტის“ მოსკოვის ბიუროს გამგე **რობინ ნაიტი,** როცა თავის მოსაზრებებს უზიარებს მკითხველებს საბჭოთა ქვეყნის შესახებ. რად ღირს, მაგალითად, მისი კრიტიკული სტატიები, რომლებსაც იგი უხვად ასურათებს... „კროკოდილში“ გამოქვეყნებული ნახატებით.

რობინ ნაიტი საბჭოთა რესპუბლიკებსაც ესტუმრა. ყოფილა საქართველოშიც.

**„რუსთაველის პროსპექტზე, — წერდა იგი, — თბილისის მთავარ საქმიან ქუჩაზე, ხალხს პარიზის უკანასკნელი მყვირალა მოდის მიხედვით აცვია, ქუჩები სავსეა ავტომანქანებით, ხოლო როცა მძღოლები და ქვეითად მოსიარულენი კამათს იწყებენ, რუსულს იშვიათად გაიგონებ. ყველა ქართულ ენაზე ლაპარაკობს“.**

აი, თურმე, რა აწუხებს „ამერიკელ ძიას“. მაშ, რა ენაზე უნდა ილაპარაკონ ქართველებმა, ბატონო ნაიტ? ინგლისურზე ხომ არა?! — ეკითხება მას „ნოვოე ვრემიაში“ გამოქვეყნებულ ფელეტონში ვ. გრიბაჩევი.

# მარკ ტვენის პოლიტიკური მახვილსიტყვაობა

ვინ არის სენატორი?

სენატორი არის ადამიანი, რომელიც დროის სწორედ იმ მონაკვეთში, როცა ციხეში უნდა იჯდეს, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ზის და სახელმწიფოს კანონებს თხზავს.

რა არის საარჩევნო ბიულეტენი?

საქონლის ერთადერთი სახე, რომლითაც ჩვენში უპრეცენტოდ ვაჭრობენ.

რწყილიც კი შეიძლება ისე გაწვრთნა, რომ ყველაფერი გააკეთებინო, რასაც კონგრესის წევრები აკეთებენ.

სათანადო ციფრებისა და ფაქტების მოშველიებით როდი გაჭირდება იმის დამტკიცება, რომ ბოროტმოქმედთა არავითარი რაღაც განსაკუთრებული ამერიკული მოდგმა არ არსებობს, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრთა გარდა.

მკითხველო, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ იდიოტი ხართ. ახლა კი ის წარმოიდგინეთ, ვითომ ამერიკის კონგრესის წევრი ხართ... თუმცა რა, ეს ხომ გამეორება გამომივიდა.

გავიგე, ჩემი გაგზავნა გადაუწყვეტიათ საზღვარგარეთ ელჩად თუ კონსულად. ჰოდა, აი, საჯაროდ ვაცხადებ, რომ ეს ამბავი სულაც არ მეპიტნავება. ღმერთია მოწმე, ისედაც საკმაოდ უხეში და ზარმაცი ვარ, თუმცა არ ვუოფილვარ ამერიკის ელჩად.

აშშ-ის მთავრობის სხდომიდან.

დახოცეს ორასი ინდიელი.

— რამდენი დაიხარჯა ამაზე?

— ორი მილიონი დოლარი.

— ამ ფულით შეიძლებოდა მათთვის უმაღლესი განათლების მიცემა!

პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს წამოსძახებენ ხოლმე, როცა ხელისუფლების სათავეში იდექით, მექრთამეობასა და რას არ ეწეოდითო. ამ შემთხვევაში ისინი იმ მგელს ჰგვანან, რომელმაც მწყემსების ქოხში შეიხედა, ნახა, რომ ისინი არხეინად შეექცეოდნენ ცხვრის ხორცს და ჩაიბურტყუნა:

— ჰო, რა თქმა უნდა, თქვენ რომ ამას აკეთებთ, ვითომც არაფერი, მაგრამ, აბა, ერთი მე ჩამედინა ეს, მაშინ რა ამბავს ატეხდით!

ამერიკაში სიტყვის თავისუფლება მხოლოდ მკვდრებისთვის არსებობს.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი დოლიძემ



ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სამხედრო ბიუჯეტი ამჯერად ართმევს ფულს ღარიბებს და აძლევს მდიდრებს, რაც სამხედრო მანქანის ხაზინას 12-15 მილიარდ დოლარს მატებს.

გაზეთებიდან

ნახ. ბ. ლომიძისა



არსენა ოძელაშვილი: ჰაი, დედასა, როგორ შეუბრუნებიათ ჩემი დევიზი!

მთავარი რედაქტორის მოადგილე ზაურ ბოლქვაძე. სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიჟნიანიძე, გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 24/IX-79 წ.,ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XI-79 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის შეკვ. 2166. უე 06866. ტირ. 144.000. Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

76187